პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 75 (20416) ხუთშაბათი, 30 მარტი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

29 მარტს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, მეთერთმეტე სესია.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, ბ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ი. ნ. როდიონოვი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. ხ. ემირიძე, ჯ. ვ. მარგველაძე, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. ხარაძე, ა. გ. ჩეხოევი, პ. პ. ჩხეიძე,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ა. ე. სელეზნოვი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

შეკრებილებმა პატივი მიაგეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გაზეთ „სოვეთ გურჯისთანის“ რედაქტორის თ. მ. ჯაფარლის ხსოვნას, რომელიც გარდაიცვალა მეათე სესიის შემდგომ პერიოდში.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილი იყო საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის შესახებ.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის შესახებ.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან 30—40-იანი წლების და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში მოხდარი რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის პირველ სამ საკითხზე სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, დეპუტატ **ჯ. ი. პატიაშვილს.**

დღეს, თქვა მან, ჩვენ უნდა განვიხილოთ ორგანიზაციული საკითხები.

დეპუტატებმა უკვე იციან, რომ პავლე გიორგის ძე გილაშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით გადათავისუფლონ იგი თანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო.

ჩვენ ეს საკითხი საგანგებოდ განვიხილეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. გადავწყვიტეთ მხარი დავუჭიროთ პავლე გიორგის ძის თხოვნას. დღეს კი ეს საკითხი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად გამოგვაქვს.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ჩვენი ხალხის სახელით, თქვა შემდეგ ჯ. ი. პატიაშვილმა, გვინდა ყველაზე გულთბილი სიტყვებით მივმართოთ პატივცემულ პავლეს და დამსახურებისაებრ შეეფასოთ მისი მრავალწლიანი მუშაობა ყველა პოსტზე, რომლებსაც მას ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ანდობდნენ ხოლმე.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი, თითოეული ჩვენგანი კარგად იცნობს პავლე გილაშვილს. იგი გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეა. ნახევარი საუკუნის წინათ დაუკავშირა მან პარტიას მთელი თავისი ცხოვრება. ორმოც წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელი თანამდებობები უჭირავს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ხოლო უკანასკნელი 13 წლის მანძილზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა. ასეთია პავლე გიორგის ძე გილაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ყველა დეპუტატის, ჩვენი სესიის ყველა მონაწილის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო პატივცემულ პავლეს რესპუბლიკის, ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეო მრავალი წლის დაუცხრომელი მუშაობისათვის, მთელი სულით და გულით ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ახალი ძალა და ენერგია, პირადი ბედნიერება და დიდი წარმატებანი საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პ. გ. გილაშვილმა გულითადი მადლობა გადაიხადა მისი შრომის დიდი შეფასებისათვის, გულწრფელი მადლობა მოახსენა ყველას, ვინც მთელი ამ წლების მანძილზე მის გვერდით მუშაობდა, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი.

კვლავ ტრიბუნაზეა დეპუტატი ჯ. ი. პატიაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომათა დარბაზში.
საქინფორმის ფოტო.

სესიამ დაამტკიცა პ. გ. გილაშვილის თხოვნა და გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახელით, თქვა შემდეგ ჯ. ი. პატიაშვილმა, გვინდა ყველაზე გულთბილი სიტყვებით მივმართოთ პატივცემულ პავლეს და დამსახურებისაებრ შეეფასოთ მისი მრავალწლიანი მუშაობა ყველა პოსტზე, რომლებსაც მას ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ანდობდნენ ხოლმე.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი, თითოეული ჩვენგანი კარგად იცნობს პავლე გილაშვილს. იგი გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეა. ნახევარი საუკუნის წინათ დაუკავშირა მან პარტიას მთელი თავისი ცხოვრება. ორმოც წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელი თანამდებობები უჭირავს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ხოლო უკანასკნელი 13 წლის მანძილზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა. ასეთია პავლე გიორგის ძე გილაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ყველა დეპუტატის, ჩვენი სესიის ყველა მონაწილის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო პატივცემულ პავლეს რესპუბლიკის, ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეო მრავალი წლის დაუცხრომელი მუშაობისათვის, მთელი სულით და გულით ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ახალი ძალა და ენერგია, პირადი ბედნიერება და დიდი წარმატებანი საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პ. გ. გილაშვილმა გულითადი მადლობა გადაიხადა მისი შრომის დიდი შეფასებისათვის, გულწრფელი მადლობა მოახსენა ყველას, ვინც მთელი ამ წლების მანძილზე მის გვერდით მუშაობდა, უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებანი.

კვლავ ტრიბუნაზეა დეპუტატი ჯ. ი. პატიაშვილი.

ახლა, თქვა მან, უნდა განვიხილოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის საკითხი. ამ საკითხზე წინასწარ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და წამოაყენა წინადადება რეკომენდაცია მიეცეს სესიას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიოს ამხანაგი ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზია და გაათავისუფლოს იგი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ყველა ადამიანის სახელით, ამ ადამიანის, ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზიას დაწინაურება რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე ნაკარნახევია გარდაქმნის დროის მოთხოვნებით. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ საბჭოების ავტორიტეტი, სახალხო ხელისუფლების ეშუმარიტ ორგანოებად გადავაქციოთ ისინი. ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული გარდაქმნის საქმის წინსვლა, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გზაზე ახალი, საიმედო ნაბიჯის გადადგმა.

დღევანდელი სესიის მნიშვნელობას დიდად ზრდის ისიც, რომ იგი მეტად პასუხსაგებ პერიოდში მიმდინარეობს. სულ ახლახან საბჭოთა ხალხმა აირჩია საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატები. არჩევნები ახალი, განახლებული საარჩევნო სისტემის პირობებში მოეწყო.

ჯერჯერობით არ არის შეჯამებული არჩევნების საბოლოო შედეგები. წინასწარი მონაცემებით, მასში ამომრჩეველთა 95,7 პროცენტი მონაწილეობდა. ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატად არჩეულია 71 კაცი. მათ შორის 61 კომუნისტური პარტიის წევრია, 29 დეპუტატი მუშა და გლეხია, 42 მოსამსახურე და ინტელიგენციის წარმომადგენელია. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით არჩეული დეპუტატებიდან 17 კაცი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია.

წინ კიდევ ახალი — საქართველოს სახალხო დეპუტატთა არჩევნები მოგველის. ყოველნაირად უნდა გავააქტიუროთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა თითოეული საბჭოს საქმიანობა, გადავაქციოთ ისინი გარდაქმნის მამოძრავებელ ძალებად, მთელი რესპუბლიკის ეშმარიტ ბატონ-პატრონებად. უთუოდ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოები უფრო ენერგიულად ეუფლებოდნენ მეურნეობის მართვის ახალ მეთოდებს, თვითონ წყვეტდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსახლეობის სურსათითა და სარეწველო საქონლით მომარაგება, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ბინების სამართლიანი განაწილება, მომსახურების სფეროს განვითარება, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა, გარემოს გაჯანსაღება, ერთი სიტყვით, ყველა ის პრობლემა, რომლებიც ხალხს აწუხებს, არსებით გავლენას ახდენს მის გუნება-განწყობილებაზე, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებზე.

ამასთან, ღრმად გვჯერა, რომ საბჭოები მხოლოდ მაშინ გაართმევენ თავს მათ წინაშე დასახულ ანალ ამოცანებს, თუ, უპირველეს ყოვლისა, გარდაქმნიან საკუთარ თავს, თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზია წარმატებით გაართმევს თავს ამ მეტად რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს.

პატივცემულ ოთარს კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი იყო ჯაკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი, ექვსი წლის განმავლობაში — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებებს. უკანასკნელი 16 წლის მანძილზე ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ხელმძღვანელი პოსტები უჭირავს — წლების განმავლობაში იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პირველი მოადგილე, ამჟამად კი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა. ყველგან, სადაც კი უმუშავია პატივცემულ ოთარს, ენერგიული და ინიციატივიანი მუშაკის, უნარიანი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის სახელი დაიმკვიდრა.

ოთარ ჩერქეზია გამოირჩევა ისეთი ადამიანური თვისებებით, როგორიცაა გულითადობა, სისადავე და თავმდაბლობა, ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი. იგი უაღრესად პრინციპული ადამიანია. აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, იჩენს შეუპოვრობას დასახული მიზნის მიღწევაში, მხარს უჭერს ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. ფართო თვალსაწიერითა და ერუდიციით მან დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა რესპუბლიკაში.

(ბაგრძელება მე.2 გვ.).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

29 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს და სიტყვა წარმოთქვა მათ წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის შედეგებთან და საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ [illegible] ამხანაგები ი. კ. ლიგაჩოვი, მ. ბ. [illegible] ა. ნ. [illegible] ბ. ნ. ელცინი. [illegible] ბრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

28 მარტს გამართულ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების პერიოდში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებისა და მომავალ საარჩევნო კამპანიაში პარტიული გავლენის გაძლიერების საკითხი. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებმა რესპუბლიკაში სრული კარგახსნილობის, თავისუფალი დისკუსიების, დემოკრატიზმის და საჯაროობის პრინციპების დამკვიდრების ვითარებაში ჩაიარა და ცხადყო, მშრომელთა, მოსახლეობის ყველა ფენის პოლიტიკური აქტიურობა, რომლებიც ჩაბმული არიან პოლიტიკური რეფორმის ძირითადი იდეის რეალიზაციაში — ხალხის სრულძალაუფლებიანობის განხორციელებაში.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მთლიანად უზრუნველყო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებად ყველაზე ღირსეულთა დასახელება, რომლებსაც ხალხი პატივს სცემს და ენდობა, მტკიცედ დგანან გარდაქმნის პოზიციებზე; არჩევნებმა ცხადყო, რომ ხალხი პოლიტიკურად მზად არის განახორციელოს პარტიის გეზი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ფორმირების საქმეში.

ამავე დროს, როგორც ანალიზი მოწმობს, მთელი რიგი პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, საარჩევნო კომისიების მუშაობაში არჩევნების პოლიტიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მხრივ იყო სერიოზული ხარვეზები. ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი აღმოჩნდა მთლიანად მომზადებული საარჩევნო კამპანიისათვის, რომელიც პრინციპულად ახალ პირობებში მიმდინარეობდა; საკმარისად არ იყო გამოყენებული საარჩევნო პროცესის დემოკრატიული მექანიზმი ხშირად არ იგრძნობოდა მკაფიო და აქტიური პოზიცია, საკმაოდ ენერგიულად არ წარმოებდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა გულდასმით გააანალიზონ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგები, შეისწავლონ არჩევნების იდეოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის მუშაობაში დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების მიზეზები; შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა შემდგომში არ დაუშვან გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამეორება; შეისწავლონ და განაზოგადონ შეძენილი დადებითი გამოცდილება, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი რესპუბლიკის მშრომელებსა და მოსახლეობას შორის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამართლებული მეთოდებისა და ფორმების გავრცელებას, გამოიყენონ ისინი სახალხო დეპუტატთა რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომავალ საარჩევნო კამპანიაში.

პარტიულ კომიტეტებს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დაევალათ გააანალიზონ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მშრომელთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი, შეიმუშაონ მათი რეალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დადასტურა პირველი რიგის ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ ღონისძიებათა გეგმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის შედეგებთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ყველა პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციას დაავალა განსაზღვრონ თავიანთი ამოცანები, ადგილი, როლი და მოქმედების პროგრამა პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა მისი სულისკვეთება და მოთხოვნები გააცნონ თითოეულ ადამიანს, ხორცი შეასხან მათ კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომ განიხილონ და განმარტონ მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების, საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების პროექტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და მოინონა რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური განათლების სისტემაში 1988-1989 სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მშრომელთა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის 1988-1990 წლების კომპლექსური გეგმა, და გაწეული მუშაობა ამ მიმართულებით არასაკმარისად ცნო. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აღმოიფხვრას გამოვლენილი ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შემდგომი განვითარება სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მითითებების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა აქტუალური საკითხიც.

ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ოთარ ევტიხის ძე ჩერქეზია დაიბადა 1933 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1955 წლიდან. დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობით მშენებელი ინჟინერია.

1957 წლიდან კომკავშირულ სამუშაოზეა: იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, შემდეგ გადაჰყავთ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მუშაობდა მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელ ორგანიზატორად, სტუდენტ ახალგაზრდობას შორის მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1961 წლიდან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია. არჩეული იყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად.

1967 წელს ო. ე. ჩერქეზიას ირჩევენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად. შემდეგ მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგედ, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ.

კომკავშირულ და პარტიულ მუშაობასთან ერთად მთელი რიგი წლების მანძილზე ასწავლიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1973 წლიდან ო. ე. ჩერქეზია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1985 წლიდან თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. 1986 წლის აპრილში იგი ინიშნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ო. ე. ჩერქეზია არჩეულია სსრ კავშირის მეშვიდე და მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლით.

ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე



ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე დაიბადა 1930 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1960 წლიდან. დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1954 წელს ქარხანა „ზაპოროჟფოლადში“, სადაც მუშაობდა მეფოლადის ხელქვეითად, ოსტატად, შემდეგ უკრაინის ლითონთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი იყო.

1958 წლიდან იგი მუშაობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეტალურგიული ლაბორატორიის უფროსად, ცენტრალური ქარხნის ლაბორატორიის უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ, 1965 წლიდან კი ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის დირექტორად.

1970 წელს ზ. ა. ჩხეიძეს ირჩევენ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. ორი წლის შემდეგ ინიშნება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად.

1976 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანია.

1982 წლიდან ზ. ა. ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეა, 1986 წლიდან — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ზ. ა. ჩხეიძე არჩეულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად, არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლით.

ოთარ ვლადიმერის ძე ქვილითაია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ოთარ ვლადიმერის ძე ქვილითაია დაიბადა 1936 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1965 წლიდან, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წელს სარემონტო-სამშენებლო კანტორის მუშად. შემდეგ მუშაობდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ტექნიკოსად, ინჟინრად, უფროს ინჟინრად, უფროსად, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ დირექტორის მოადგილედ, გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, პირველ მოადგილედ, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1983 წლიდან ო. ვ. ქვილითაია საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრია.

ო. ვ. ქვილითაია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

დეპუტატ პ. გ. გილაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს დეპუტატ პავლე გიორგის ძე **გილაშვილის** თხოვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ზ. ა. ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

ამხ. ო. ვ. ქვილითაიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ვლადიმერის ძე **ქვილითაია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 29 მარტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

(მაგრძელება)

ჯ. ი. პატიაშვილის წინადადებით კენჭს უყრიან საკითხს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე დ დეპუტატ ოთარ ეფტიხის ძე ჩერქეზიას არჩევისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სესია იღებს გადაწყვეტილებას აირჩიონ ო. ე. ჩერქეზია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ახლა, თქვა შემდეგ ჯ. ი. პატიაშვილმა, უნდა განვიხილოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი. ამ საკითხზეც წინასწარ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და წამოაყენა წინადადება რეკომენდაცია მიეცეს სესიის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნოს ამხანაგი ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე და გაათავისუფლოს იგი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს დავალებით სესიისგან განსაზღვრად შემომაქვს წინადადება—საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნოს ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე და გაათავისუფლოს იგი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო უნდა იქცეს სახელმწიფო ხელისუფლების ქმედმარიტ ორგანოდ, რომლის ყურადღების ცენტრში რეალურად დადგება ეროვნული მშენებლობის, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს, კულტურისა და ენის, ისტორიული მემკვიდრეობის, ეკოლოგიის, დემოგრაფიული განვითარების სპეციბოროტო პრობლემები. საბჭომ კი საერთოდ სრულად უნდა აღიდგინონ თავიანთი ავტორიტეტი და ძალაუფლება.

იმედი გვაქვს, რომ მიმდინარე ხუთწლეულში რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი მიზნები, საქმიანი, თუმცა ზოგჯერ პოლიტიკური ატმოსფერო, აზრთა პლურალიზმი საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ოპტიმალური ეონისძიებანი ფართო სპექტრის საკითხთა გადასაჭრელად. ამის საწინდარია რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, რაც აუეთი სიცხადით გამოვლინდა ამ დღეებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების არჩევნების დროს.

ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობა მოგახსენოთ დიდი ნდობისათვის და აღგითქვამ, რომ მთელ ჩემს ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას მოვახმარ ხალხის ნების აღსრულებას, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ძირეულ გარდაქმნას, განუყოფელი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შემდგომ განმტკიცებას.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ზ. ა. ჩხეიძე.**

ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც დღეს გამოიცხადეთ, თქვა მან. კარგად მაქვს შეგნებული, რომ არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობა, უფრო დიდი პასუხისმგებლობა, ვიდრე ემსახურო შენს რესპუბლიკას, შენს ხალხს, მით უმეტეს, ახლანდელ პირობებში, როდესაც ამდენი საქვეყნო საქმეა გასაკეთებელი.

ნება მიბოძეთ, აღგითქვამ, რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე მთელ ჩემს ძალ-ღონეს, ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას მოვახმარ იმას, რომ ღირსეულად გავამართოთ ესოდენ დიდი ნდობა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად ღირსეულად მოვიხადოთ მოქალაქეობრივი, პარტიული და ეროვნული ვალი ჩვენი ხალხის და რესპუბლიკის წინაშე.

დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, აჭარამად კი იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა და მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას ახმარს რესპუბლიკის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ვფიქრობ, ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე ღირსეული კანდიდატურაა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. მას ყველა ადამიანური და საქმიანი თვისება აქვს იმისათვის, რომ წარმატებით უხელმძღვანელოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს.

ჯ. ი. პატიაშვილის წინადადებით კენჭს უყრიან საკითხს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხანაგ ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძის დანიშვნის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ.

სესია იღებს გადაწყვეტილებას დანიშნოს ზ. ა. ჩხეიძე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და გაათავისუფლოს ამხანაგი ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

სესია იღებს გადაწყვეტილებას დანიშნოს ზ. ა. ჩხეიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ამ საკითხზეც წინასწარ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და წამოაყენა წინადადება — ამ საკითხზეც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ერთიანობის, ეროვნული ინტერესების, ეროვნული ღირსების, ეროვნული ამბიციების, ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული ეგოცენტრიზმის, ეროვნული ეგოისტურობის, ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული ეგოიზმის, ეროვნული ეგოიზმ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

(დასასრული)

ამავე დროს კონსტრუქციულად წყდებოდა ურთიერთი პრობლემები. პოლიტიკური სისტემის რეფორმამ — ღრმა, ძირეულმა რეფორმამ, რომელიც პარტიამ შემოგვთავაზა, უპირველეს ყოვლისა უნდა გააჯანსაღოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი—ეროვნებათაშორისი ურთიერთობა. საჭიროა მოვიკრიბოთ მოთმინება და ვიმუშაოთ დაუცხრომლად, ვწყვეტდეთ ცხოვრებით წამოჭრილ საკითხებს პარტიის სტრატეგიული, პრინციპიალური გზის შესაბამისად.

XIX პარტკონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა: ნებისმიერი ეროვნული პრობლემები მოითხოვს აწონ-დაწონილ ყოველმხრივ მიდგომას თითოეული კონკრეტული სიტუაციის ღრმა ანალიზისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე. ისინი უნდა წყდებოდეს დინჯად, ულარესი პასუხისმგებლობის შეგნებით სოციალისტური დემოკრატიისა და კანონიერების ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა ერთმანეთის სურვილების გათვალისწინებით. ეს ნათქვამია XIX საკავშირო პარტკონფერენციის რეზოლუციაში „ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შესახებ“.

კონფერენციის გადაწყვეტილებების შესრულება კი საჭიროებულია ყველა კომუნისტისთვის. სწორედ ამიტომ, როგორც ჩვენ გვახსოვს, დიდი პასუხისმგებლობის მაგალითი ამ შემთხვევაში უწინარესად პარტიის წევრებმა, კომკავშირელებმა, ვეტერანებმა, იმათ უნდა გვიჩვენონ, ვინც ძალმედობის ჟამს ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდა, აშენებდა ახალ საზოგადოებას.

ჩვენ უკვე გვაქვს იმისი რეალური მაგალითები, როგორ მოქმედებს პრაქტიკულად განხილებადი პოლიტიკური სისტემა, კერძოდ, ახალი საარჩევნო მექანიზმი. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებმა რესპუბლიკაში, მათ შორის, აფხაზეთში წარმატებით ჩაიარა და გვიჩვენა, რომ ჩვენი ადამიანების დიდი ნაწილი გაიზარდა პოლიტიკურად და ზნეობრივად, რომ ხალხსა და პარტიას ხელთ უპყრიათ ბერკეტი, რათა დემოკრატიული გზით წარმატებით გადაწყვიტონ ურთულესი ამოცანები.

ერთი ამ ამოცანათაგანია ეროვნებათაშორისი დამოკიდებულების სრულყოფა, ერთიერთობის ცოცხალი ურთიერთობის კულტურის ამაღლება. როგორც უკვე ითქვა, ამ საკითხს ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ჩვენ იცით, რომ მისთვის მზადება მიმდინარეობს საზოგადოებრივი აზრის უპრეცედენტოდ სრული დემოკრატიული გათვალისწინების საფუძველზე, უწინარესად პარტიული ორგანიზაციების წინადადებათა გათვალისწინების საფუძველზე. ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ ამისათვის, რომ რესპუბლიკური პარტორგანიზაციის პლატფორმა პლენუმზე იყოს ერთიანი, ურთიერთშეთანხმებული, ისეთი, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ყველა კონსტრუქციული პოზიცია.

მაშ, მოდით ერთად ვიმუშაოთ ამ მომართულებით, წამოვწიოთ, გავაანალიზოთ, განვაზოგადოთ ის ფაქტები და მოვლენები, რომელნიც გვაერთიანებენ ჩვენს საერთო სახლში, მრავალეროვან საქართველოში, და არა ის, რაც გაგვთიშავს.

ასეთი ფაქტი მრავლად არის. ქართველ და აფხაზ ხალხებს საერთო ისტორიული წარსული აქვთ. საუკუნეების მანძილზე ერთობლივ ბრძოლასა და შრომაშია ნაწრთობი მათი ძმობა და მეგობრობა. რაოდენ საინტერესოდ მოგვითხრობს ამის შესახებ ცნობილი აფხაზი ისტორიკოსების ზურაბ ანჩაბაძისა და გიორგი ძიძარიას წიგნი **„Дружба извечная, нерушимая“.**

ისტორიას არც შელამაზება სჭირდება, არც გაზვიადება.

სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, როდესაც ესა თუ ის ისტორიკოსი თავის აზრს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ ნათლად ვერ ჩამოაყალიბებს, ზოგჯერ ცდება კიდეც. ასეთ შემთხვევებს ვხვდებით როგორც ქართველ, ისე აფხაზ ისტორიკოსთა ნაშრომებში. ყველი ამგვარი ფაქტი მეცნიერული დისკუსიის საგნად უნდა იქცეს, მოსაგვარებელი — მოგვარდეს, გასასწორებელი — გასწორდეს, გაიმართოს. ამგვარი დახვეწა-დამუშავების გარეშე ნაშრომი არ უნდა გავიტანოთ საქმეში ჩაუხედავი ხალხის სამსჯავროზე ან უკანასკნელთა გასაღიზიანებლად. ყველი ასეთი პრობლემა მეცნიერთა წრეში, მრგვალ მაგიდასთან უნდა გადაწყდეს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში შესუსტდა ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების დიალოგი, აღარ ამართება ბორჯომის ტრადიციული შეხვედრები. ჩვენც, ცენტრალურ კომიტეტშიც და აფხაზეთის საოლქო კომიტეტშიც მეტი სიბეჯითე უნდა გამოგვეჩინა და წინ აღდგომოდით იმ არასწორ მოსაზრებას, რომელიც ფულისხმობს ამ შეხვედრების თითქოსდა უნაყოფობას. ასეთი შეხვედრები დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს და მათ სისტემატური ხასიათი მიეცეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა უშუალოდ უნდა იყოს პასუხისმგებელი ამ საქმის მოგვარებისათვის.

ეს იმისთვისაც არის საჭირო, რომ ჩვენი პასიურობის შედეგად აქტიურობენ ნაკლებმეცნიერული რეაუტაციის მქონე მკვლევრები, რომელთა პუბლიკაციებს ზოგიერთები საეჭვო პოლიტიკური მიზნების დასასაბუთებლად და განსახორციელებლად იყენებენ.

იქნებ, არც ღირდეს წმინდა წყლის მეცნიერულ ასპექტებზე ამ ტრიბუნიდან მსჯელობა. ვიმეორებ, ეს, პირველ ყოვლისა, მკვლევართა საქმეა. მაგრამ შეუძლებელია მათ კვლავ და კვლავ არ მოვეწოდოთ დიდი სიფრთხილისაკენ, სიდინჯისა და სიბრძნისაკენ, რადგან თითოეული პუბლიკაცია და საჯარო გამოსვლა ემიციურ გამოძახილს პოულობს ხალხში, განსაკუთრებით — ახალგაზრდობაში. ახალგაზრდობამ, სამწუხაროდ, ბევრი რამ ისეთი არ იცის, რაც კარგად ახსოვს უფროს თაობას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ხელი შევუწყოთ ეროვნული ისტორიის სწავლების გაუმჯობესების პროცესს, რომელიც აფხაზეთში და მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რას ვასწავლით და ვინ ასწავლის. ეს მარტივი საკითხი არ არის. შეუძლებელია საოლქო და მთლიანად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ამ საქმეს, ისევე როგორც კულტურულ-სულიერი ცხოვრების საკითხებს, მშობლიური ენების სწავლებისა და ოთვლა-პატრონობის საქმეს, განზე გაუდგეს. პირიქით, თქვენთვის ცნობილია ამ სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის პარალელურად გამოქვეყნდა აფხაზური და ოსური ენების სწავლებისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამების პროექტები. ამ პროგრამების განხორციელებაზე ზრუნვა მთელი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ყოველივე ზემოთქმულს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც არსად, არც ერთ სფეროში არ გვმართებს იმდენი სიფრთხილე და ზრუნვა, რამდენიც ეროვნული სულიერი ცხოვრების სფეროში, ეროვნული პრობლემატიკის კვლევისას.

ზემოთ უკვე ვთქვით: შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ, რომ აფხაზმა ხალხმა წარსულში ბევრი უსამართლობა და ძნელბედობა განიცადა. უნდა გვახსოვდეს, ერის შეგნებაში წარსულის ჭრილობები ადვილად არ ხორცდება. ეს ქართველმა ხალხმა თავისი საკუთარი ისტორიული გამოცდილებით იცის.

ობიექტურობა და სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ზოგჯერ ჩვენ თვითონვე ნებსით თუ უნებლიეთ ვუწყობთ ხელს არასასურველი მოვლენების განვითარებას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მხედველობაში მაქვს ზოგიერთი მეცნიერის თუ პუბლიცისტის მოუფიქრებელი პუბლიკაცია, უპასუხისმგებლო საჯარო გამოსვლა, რომელსაც აკლიათ საჭირო ტაქტი, ელემენტარული პატივისცემა მომმე აფხაზი ხალხისადმი, მათი კულტურისადმი; იმ საკითხების ღრმა ცოდნა, რომლებიც დინჯ, დარბაისლურ განსჯასა და გადაწყვეტას საჭიროებს და არა ზერელე ან სულაც მიუღებელ მიდგომას.

თუ ჩვენ ჭეშმარიტი პატრიოტები და ინტერნაციონალისტები ვართ, თუ სრულიად სამართლიანად, მწვავედ ვრეაგირებთ ზოგიერთ წინდაუხედავ გამოსვლაზე ჩვენი რესპუბლიკისა და ხალხის შესახებ ცენტრალურ პრესაში და ტელევიზიაში; თუ სხვას არ ვაპატიებთ ჩვენი ერის ინტერესების, მისი კულტურის ხელყოფის ნებისმიერ ცდას, ასევე კრიტიკულად უნდა შევხედოთ საკუთარ პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებს იმ ერების, იმ ხალხების მიმართ, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ.

ჩვენ ხშირად პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, სხვადასხვა ტრიბუნიდან სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ ქართველი ხალხი ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი ეროვნული, რასობრივი და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით, რომ ჩვენთვის უცხოა სხვა ერთა მიმართ უპატივცემლობა და ქედმაღლობა. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ამ დელეკატურ საკითხში ჩვენი მხრიდან სხვის მიმართაც გამონაკლისი არ უნდა იყოს. ვლადიმერ ილიას ეკ ლენინი თავის ბოლო წერილებში, აკრიტიკებდა რა სტალინისა და ორჯონიკიძის ფაქტობრივად დიდმპყრობელურ და შოვინისტურ მოქმედებას ქართველი ხალხის მიმართ, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „არაფერს ისე მწვავედ არ განიცდიან „შეურაცხყოფილი“ ნაციონალები, როგორც თანასწორობის დარღვევას. თუნდაც დაუდევრობით, თუნდაც ხუმრობის სახით“.

ამ საკითხის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მხარეზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. საქმე ის გახლავთ, რომ ნებისმიერი უპასუხისმგებლო და უტაქტო პუბლიკაცია ან გამოსვლა, მაგალითად, საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის გაუქმების ახირებული მოთხოვნა ხელს აძლევს, მხლოდ იქაურ ნაციონალისტურ, ექსტრემისტულ ელემენტებს იმისათვის, რომ წარმატებით გაშალონ ანტიქართული აგიტაცია გაუთვითცნობიერებელ წრეებში, განაწყონ ამ რეგიონების არაქართველი მოსახლეობა ქართველების წინააღმდეგ, ხელი შეუწყონ სეპარატისტული განწყობილებების გაღვივებასა და გაფართოებას. ამის მაგალითი უამრავია.

ხაზოგადოების ჯანსაღი ნაწილის უმთავრესი ამოცანა კი სწორედ ის არის, რომ მიაღწიოს ნებისმიერ რეგიონში ნაციონალისტურ-ექსტრემისტული ძალების სრულ იზოლირებას შრომელთა ფართო მასებისაგან, განსაკუთრებით — მოსწავლე ახალგაზრდობისაგან. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული პარტიული ორგანიზაციების, ჩვენი შეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების მთელი მეცადინეობა.

რა თქმა უნდა, არავინ არ უნდა წავიდეს და არც წავა უსაფუძვლო დათმობებზე, როცა საკითხი ეხება მეცნიერულ, ისტორიულ ჭეშმარიტებას, პარტიულ და სახელმწიფოებრივ პრინციპებს, ზნეობრივ სისპეტაკეს. მაგრამ საჭიროა ყველამ — იქაც და აქაც — გამოვიჩინოთ ჯეროვანი ზომიერება, სიდინჯე და სიბრძნე, რასაც მოითხოვდა ვ. ი. ლენინი, როგორც ამას დღეს მზარდი დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ვითარებაში აკეთებს ჩვენი პარტია და მისი ხელმძღვანელობა.

ამ მხრივ ჩვენი ისტორია აღსავსეა მაგალითებით — სიბრძნის, თანადგომის, ერთგულების, მხარდაჭერის მაგალითებით.

საილუსტრაციოდ იქნებ ღირდეს კიდევ ერთხელ საგანგებოდ გავიხსენოთ ის მძიმე ვითარება, რომელიც მომმე აფხაზ ხალხს დაატყდა თავს XIX საუკუნის შუახანებში. მოხაჯირობის შედეგად, როგორც ცნობილია, აფხაზეთში გაჩანაგდა და დაცარიელდა მრავალი სოფელი. მეფის ხელისუფლებამ გადაწყვიტა იქ ჩასახლებინა ყველა, გარდა აფხაზებისა და ქართველებისა. ამ მძიმე ჟამს აფხაზებს მხარში ამოუდგნენ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, თედო სახოკია და სხვანი. „აფხაზეთს ეჭირვება დროზე მიშველება, გულწრფელი მამობრივი პატრონობა“, — წერდა თედო სახოკია 1885 წელს ჟურნალ „მოამბეში“,

ცარიზმის ანტიხალხურ პოლიტიკას წინ აღუდგნენ იმ დროის გამოჩენილი მოღვაწეები: მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა, ნიკო ჯანაშია, ალექსანდრე, გრიგოლ, კონსტანტინე და გიორგი შერვაშიძეები, დავით ანჩაბაძე, სოლომონ ზვანბა, დავით ჩხოტუა, თობა ეშბა, დმიტრი მარღანია, დიმიტრი გულია და სხვები.

ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო წარმომადგენლები, ამ ორი ძმური ერის შვილები ერთად, მხარდამხარ იბრძოდნენ თავიანთი ხალხების სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, მათი ბედნიერი მერმისისათვის. ისინი არა მარტო თანამებრძოლები და თანამოაზრეები, არამედ პირადი, განუყრელი მეგობრებიც იყვნენ.

საგულისხმოა, რომ მაშინ აფხაზი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი არა მარტო აფხაზეთს, არამედ მთელ საქართველოს თვლიდა საკუთარ სამშობლოდ, რაც ძალიან კარგად ჩანს გიორგი შერვაშიძის სიტყვებიდან: „ჩვენ არც ერთ ერს არ ვემტერებით, საქართველო იმ თავიდანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყველა ტომს, მოდგმას, ყველას აძლევდა ბინას, საფანელს, საზრდოს და ეკლესიებსაც კი“. ამ აზრს იგი უფრო გამოკვეთილად გამოთქვამდა 1917 წელს, როდესაც წერდა: „მართალია, ჩვენს სამშობლო იერიას ყოველგარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის ბარა და კახონი. დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იდბლის უკუღმართობას ხელი არ შეეშალა, ევროპის წინაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული ქრისტეს მცნების გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბით ხელში ნადირობდნენ ტყეში“.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ძე, დიდი აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გიორგი შერვაშიძე სრულიად უნიკალური შემოქმედია. იგი ერთნაირი ნიჭიერებითა და შემართებით ქმნიდა ჭეშმარიტ შედევრებს აფხაზურ, ქართულ, რუსულ ენებზე. იგი იყო აფხაზი და ქართველი ხალხების შეგობრობის ქადაგი და მშენებელი. მის ცხოვრებასა და შემოქმედებას უძღვნა ერთ-ერთ თავისი საუკეთესო ნაშრომი გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ.

ჩვენ — ქართველები და აფხაზები თვალისჩინებივით უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ ასეთ მაგალითს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი კულტურების — ქართველისა და აფხაზურის, აფხაზურისა და ქართულის — პროგრესული მოღვაწენი ყოველთვის იყვნენ ჩვენი მეგობრობის, ძმობის გულწრფელი და მგზნებარე მეხოტბენი.

„ჩვენი ხელები სიყვარულით გადაჭდობილან, ცხადშიც და ძილშიც შენთანა ვარ, ჩემო ძმობილო“, — ეს სიტყვები ეკუთვნის გამოჩენილ აფხაზ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დმიტრი გულიას, რომელმაც აფხაზურად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“.

აფხაზეთსა და აფხაზ ხალხს არაერთი პოეტური შედევრი უძღვნა გალაკტიონ ტაბიძემ. ოცდანი და ოცდაათიანი წლების აფხაზეთის დრამატული მოვლენები დიდებულად ასახა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის რომანში — „მთვარის მოტაცება“. აფხაზი ერის შვილების მისეულმა სახეებმა ქართული, საბჭოური და — უცხო ენებზე ამ რომანის თარგმანთა მეშვეობით — მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში ღირსეული ადგილი დამკვიდრეს.

ქართული პროზის მარგალიტია ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი ამბა“.

აფხაზეთთან ძმური ურთიერთობა აკავშირებდათ და აკავშირებთ გიორგი ლეონიძეს, სიმონ ჩიქოვანს, ირაკლი აბაშიძეს, ნოდარ დუმბაძეს, მუხრან მაჭავარიანს, შოთა ნიშნიანიძეს, ხუტა ბერულავასა და მრავალ ქართველ მწერალსა და მოღვაწეს. ამ მხრივ მართლაც რომ სამაგალითოა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ცნობილი ენათმეცნიერის ქეთევან ლომთათიძის საქმიანობა, რომელიც დაფუძნებულია უაღრესად ღრმა, პრინციპულ მეცნიერულ პოზიციებზე და აღსავსეა დიდი მოქალაქეობრივი, მზრუნველი სულისკვეთებით.

ეს შესანიშნავი ტრადიციები უნდა განავითაროს და გაორმაოს ქართველმა და აფხაზმა შემოქმედმა და მეცნიერმა ახალგაზრდობამ, განსაკუთრებით — ისტორიკოსებმა და ფილოლოგებმა. მათ უნდა აიღონ მაგალითი სიმონ ჯანაშიასაგან, არნოლდ ჩიქობავასაგან, გიორგი ძიძარიასაგან, ზურაბ ანჩაბაძისაგან.

უტყუარი ფაქტია, რომ ქართველები და აფხაზები ოდითგანვე და, რაც უმთავრესი და საგულისხმოა, დღესაც ერთად ცხოვრობენ, არც ერთი მათგანი არ აპირებს ამ დალოცვილი მიწიდან წასვლას. აღარაფერს ვამბობ, რომ სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს აფხაზეთში მოსახლე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ინტერესებსაც.

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრიც, რომ ლიხნის მიმართვაზე ყველა ხელმოწერი, რომელთა შორის ცოტა როდი იყო ემოციებს აყოლილი, თავყრილობის ორგანიზატორთა ფსიქოლოგიური ზემოქმედების გავლენის ქვეშ, თითქოს მთელი აფხაზი ხალხის ნებას გამოხატავდეს. შეუძლებელია მთელი აფხაზი ხალხი, რომელიც ქართველების ცნობიერებაში ყოველთვის იყო კეთილშობილების, რაინდობის, ვაჟკაცობისა და პატიოსნების სიმბოლო, და რომელსაც ყოველთვის ფიქრი მივაგებდით და მივაგებთ, აუცილებელ ამ აქციის ორგანიზატორებზე; არავის, არც აქ და არც იქ, არა აქვს უფლება მთელი ხალხის სახელით ილაპარაკოს და ულტიმატუმები წამოაყენოს, თუ არ გაითვალისწინა მისი ჭეშმარიტი აზრი, ყველა იმ ხალხის ინტერესები, რომლებისთვისაც ასეთი მიმართვები და ულტიმატუმები საარსებო საკითხია.

ანდა, განა არ უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ აფხაზეთში მრავალია ქართული და აფხაზური ოჯახი, სადაც უწმინდესი და უმტკიცესი ნათესაური გრძნობით აერიან დაკავშირებული ამ ორი ხალხის წარმომადგენლები? რა პასუხი უნდა გავცეთ ასეთი ოჯახების აფხაზ დედასა და ქართველ მამას, ქართველ დედასა და აფხაზ მამას, მათ ჭალარა მშობლებს და, რაც ყველაზე მთავარია, რა ვუთხრათ დღეს და ვუპასუხოთ მომავალში შვილებს — ჩვენს მყოფადს. მის სათუთ, სუფთა ხომ მოუშუშებელ იარად დაჩნდება ეს ყველაფერი, ისინი ორად ვერ გაყოფენ გულსა და გრძნობას. არავისა აქვს უფლება ასეთი არაჰუმანური ექსპერიმენტები ჩატაროს ახალგაზრდა თაობის წმინდა სულზე, მათ ისედაც ბევრი რამ ეწინააღმდეგება საფიქრალი.

იქნებ, ღირდეს ყური ვუგდოთ ჩვენი მოძღვრის, დიდი იაკობ გოგებაშვილის შეგონებას: „ყოველი პატიოსანი მოღვაწე ქართველი ვალდებულია ამ მომენტში ხალხს, რომელსაც მთელი თავისი წარსული გადაუსკვნია, ისტორიასთან, ყოველთვის ძმური ხელი გაუწოდოს და უთხრას: „ჩემო ძმაო აფხაზო, მე შენთან ვარ ლხინსა და გასაჭირში... ვიაროთ ცხოვრების ასპარეზზე ერთად, როგორც ერთად უყია ჩვენს წინაპრებს რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში. ამას მოითხოვს მთელი ჩვენი წარსული ორივე ერისა“.

გულწრფელად მივმართავ ყველას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას — ქართველებს, აფხაზებს: გვერდზე გადავდოთ ამბიციები, ძმათა შორის ზოგჯერ გამოურიცხავი, საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო წყენა, ხელი ჩავკიდოთ, მივხედოთ ერთმანეთს პრობლემათა გადაწყვეტაში, ერთმანეთის სატკივარი გავითავისოთ, ავამაღლოდეთ გულით და სულით.

სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს!

• • •

მოისმინეს, რა ინფორმაციი, დეპუტატებმა ერთსულოვნად მიიწონეს მასში ჩამოყალიბებული შეფასებები და დასკვნები.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთერთმეტე სესიამ მუშაობა დამთავრა.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

29 მარტს მოსკოვში, კავშირების სახლში, გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა. მოისმინეს კომისიის თავჯდომარის ვ. პ. ორლოვის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს არჩევნების შედეგების შეჯამება-სათვის მუშაობა საოლქო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სხვა მასალების საფუძველზე. არჩევნების შედეგები პრესაში გამოქვეყნდება კანონით დადგენილ ვადებში.

განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა განმეორებითი არჩევნები 199 საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრიდა მხოლოდ ორი დეპუტატობის კანდიდატი და არც ერთი არ აუჩრეიათ, აგრეთვე საარჩევნო ოლქებში, სადაც მიიჩნიეს, რომ არჩევნები არ გამართულა. „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 61-ე მუხლის საფუძველზე, რომ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ განმეორებითი არჩევნები მოეწყოს 1989 წლის 14 მაისს. განმეორებითი არჩევნების ორგანიზაცია დაეკისრა ამჟამად მოქმედ საოლქო საარჩევნო კომისიებს, მხედველობაში მიღებულია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები იმუშავებენ ადრინდელი შემადგენლობით.

განმეორებითი არჩევნები ეწყობა „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესით. ამასთან, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განსაზღვრა ძირითადი წინასაარჩევნო ღონისძიებების განხორციელების შემდეგი რეგიონობა: საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება ხდება არა უგვიანეს 13 აპრილისა; დასახელებული დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია — არა უგვიანეს 16 აპრილისა, დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან ეწყობა კანდიდატის რეგისტრაციის დღიდან 13 მაისის ჩათვლით.

განმეორებითი არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა იმავე საარჩევნო უბნებში, საერთო არჩევნების მოწყობისათვის შედგენილი ამომრჩეველთა სიების მიხედვით. სიები საყოველთაო გაცნობისათვის წარმოდგენილი იქნება 1989 წლის 3 მაისიდან.

76 საარჩევნო ოლქში არჩევნების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში კანონის შესაბამისად ეწყობა განმეორებთი ხმის მიცემა.

№ 619 აქტიუბინსკის სასოფლო ტერიტორიული საარჩევნო ოლქისაგან 26 მარტს არჩეული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გარდაცვალების გამო არჩევნები ამ ოლქში დანიშნულია 1989 წლის 14 მაისს.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. লუკიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

(საკდესი).

კონტაქტები

ქართული პოეზია—არაბულ ენაზე

მეხუთე საუკუნიდან ჩვენს დღეებამდე არაბულ ენაზე ქართული პოეზიის ფართო პანორამაა წარმოდგენილი ანთოლოგიები, რომელიც გამოსაცემად მზადდება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში — ანთოლოგიაში შეიკრება ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის ნაწარმოებები, რომლებიც თარგმნეს სირიელმა მწერალმა ნიზარ ხალილმა და ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ ჩიქოვანმა.

ერთობლივი მუშაობის მიზანია გააცნონ პოეტური მარგალიტები სირიელ მკითხველებს, რომლებიც დიდი ხანია იჩენენ ინტერესს ქართული კულტურისადმი. გარდა თვით ნაწარმოებებისა, მოცემული ეპოქის მოკლე ნარკვევი, თეიმურაზ პირველის, არჩილის, თამარ მეფის, რუსთაველის, გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვების ბიოგრაფიული ცნობები.

ჩვენი ხუთწლიანი შრომა მთავრდება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გ. ჩიქოვანმა. — ანთოლოგიის გამოცემა მომავალ წელს არის დაგეგმილი დამასკოსა და ალეპოში. მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევდა ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ჩვენი თანამემამულე, სირიაში მცხოვრები ლევან საღარაძე. მისივე ინიციატივით ალეპოში 1987 წელს გამოიცა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების საიუბილეო კრებული, რომელიც ნიზარ ხალილმ და მე ვთარგმნეთ. ნიზარ ხალილი დიდი ხანია ნაყოფიერად ეწევა საზღვარგარეთ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას. იგი თარგმნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს, წერს სტატიებს ეროვნული ლიტერატურის განვითარების შესახებ. მის მიერ თარგმნილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად არაბულ ენაზე დამასკოში გამოქვეყნდა 1984 წელს ჩემი რედაქციით. უკვდავი პოემის გამომცემელიც ლევან საღარაძე იყო.

...სირიის ლიტერატურულ პრესაში პირველად გამოქვეყნდა გურამ ჩიქოვანის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებები. ტუნისში გამოსაცემად მზადდება თანამედროვე ქართული პოეზიის კრებული. იგი საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი საredაქციო კოლეგიის ინიციატივით არის შედგენილი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ საგარეო საქმეებით

ღრმა დაინტერესებით საზოგადოებრივი საქმეებით

საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარი ახალი ამბავია კვირას გამართული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები. გაზეთები წერენ, რომ ხმის მიცემა გახდა საკავშირო პოლიტიკური მოვლენა, დემოკრატიზაციის სკოლა, შემდგომი წინგადადგმული ნაბიჯი მე-19 საკავშირო პარტიული კონფერენციის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციის გზაზე.

ვარშავა. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებით დამთავრდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკური სისტემის რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის არსი ის არის, რომ აღდგეს საბჭოების ლენინური კონცეფცია, გამოტაცდეს სოციალიზმი, წერს „ტრიბუნა ლუდუ“. არჩევნები სახავს საბჭოების ფუნქციათა სრულყოფის არცთუ უბრალო პროცესს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოხდა საბჭოთა საზოგადოების უმაგალითო გააქტიურება, რომელმაც ცხადყო ღრმა დაინტერესება საზოგადოებრივი საქმეებით, ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებების სოციალისტური ხასიათისადმი მხარდაჭერა, წერს იგი.

პეკინი. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა **„ჟენმინ ჟიბაომ“** დაწერილებთან გააუქმა მ. ს. გორბაჩოვის საუბარი საბჭოთა და საზღვარგარეთელ კორესპონდენტებთან. განსაკუთრებთ უსვამს ხაზს საბჭოთა ხელმძღვანელის შემდეგ სიტყვებს: „ჩვენ გავუძლებთ. მე. მჯერა ჩვენი ხალხის“.

ვაშინგტონი. ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა, გამოეხმაურა რა 26 მარტის არჩევნებს, განაცხადა: „გამოძაქვს დასკვნა, რომ საბჭოთა კავშირში ხდება ცვლილებები, და ამასთან შეტად სერიოზულიც. ჩვენ აგრეთვე გამოგვაქვს დასკვნა, რომ სსრ კავშირში მიმდინარე ცვლილებები, როგორც ჩანს, ხანგრძლივი იქნება. როგორც უკვე ვთქვი, შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ გარდაქმნა წარმატებული იქნება, როდგან მიგვაჩნია, რომ ეს სასარგებლო იქნება საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოსთვის. ამიტომ ბატონ გორბაჩოვს ვუსურვებთ წარმატებებს ამ საქმეში“. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მეთაურმა აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა „კვლავაც უნდა გამოიჩინოს საღი აზრი და რეალიზმი საბჭოთა კავშირისადმი მიდგომაში, იმიტომ რომ იგი კვლავაც არის ძლიერ შეიარაღებული ზესახელმწიფო“.

პარიზი. „ყველას, ვისაც ეშვი ეპარებოდა საბჭოთა „კავშირში მიმდინარე ცვლილებებში, ყველას, ვინც ირონიულად იღიმებოდა სიტყვა „გარდაქმნის“ გაგონებისას, განვლილ კვირას პასუხი მიეცა: საბჭოთა ადამიანებმა სრული თავისუფლების პირობებში აქტიურად მისცეს ხმა სახალხო დეპუტატებს, — წერს **„ლუმანიტე“.** — საბჭოთა კავშირმა ეს-ეს

წინაპართა აჩრდილები არ გვაპატიებენ

ასე სწამდათ და სწამთ ემხვარების დიდ ოჯახში

ჩვენთვის ვსაუბრობდით, 1916 წელს გამომავალ გაზეთ „თეატრი და ცხოვრებიდან“ ა. ნ. 28 მარტის „ახალგაზრდა კომუნისტში“ გადაბეჭდილ მასალაზე ვმსჯელობდით, რომელშიც ლაპარაკია, თუ როგორ ეწვია თბილისში მეფისნაცვალს აფხაზების დეპუტაცია და აფხაზების სახელით სხვადასხვა მოთხოვნილება მოახსენა. მერე ერთმა თქვა: აფხაზთა დეპუტაციის ერთ-ერთი წევრის მელიტონ ემხვარის რძალი — 90 წლის მიტანებული ლილი ემხვარი, აქვე ცხოვრობს — რედაქციის პირდაპირ, პეროვსკაიას ქუჩაზეო...



...ფოტორეპორტიორ ვარლამ გენგიურთან ერთად ძველ, ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში აღმოვჩნდი. აღმოვჩნდი სათნო ქალის პირისპირ, რომელიც საინტერესოდ გვიამბობს ემხვარების ოჯახის ისტორიას, იმას, თუ რა სიტკბო და სიმწარე აგემა ცხოვრებამ... იქვე მისი ქალიშვილი — ექიმი სტომატოლოგი ლეილა ემხვარი საჩვენოდ არჩევს ძველ გაზეთებსა და ფოტოსურათებს, სახლშია შვილიშვილიც — ფიზიკოსი დათო შარვაშიძე.

ქალბატონი ლეილა დრო-ჟამით გაყვითლებულ ფოტოს მაწვდის:

— აი, ნახეთ, რა სურათი ინახება ჩვენთან: მასზე აფხაზეთის დეპუტაციაა აღბეჭდილი... ეტყობა, სურათი მეფისნაცვალთან მიღების შემდეგ გადაიღეს, ოღონდ, ფეხზე რომ დგას, იმ ყმაწვილის ვინაობა არ ვიცი...

საუბარს ქალბატონი ლილი აგრძელებს: — მარჯვნიდან მეორე ჩემი მამამთილია — მელიტონ ემხვარი, ეს პირველი კი ჭეთერ ჩოხაში — თავადი ასტამურ ინალიფა... თამბაქოს მრეწველი იყო... მარცხნიდან შარვაშიძეები სხედან (და არა შერვაშიძეები). პირველი — გოგლიკო ცნობილი ექიმის კოტე ჩაჩავას სიმამრი იყო... ეს კი ალექსანდრე შარვაშიძეა... წარმოიდგინეთ, რა დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდათ ამ ადამიანებს, რომ აფხაზეთის სახელით წარუდგენენ მეფისნაცვალს...

მელიტონ ემხვარი აფხაზეთში განათლების საქმეებს განაგებდა, ოქუმში, ჩვენი დიდი ოჯახის ბიბლიოთეკაში, ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებსაც ნახავდით... აღარაფერს ვამბობ „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის ნაწყვეტები ზეპირად ვიცოდით... მელიტონმა თავისი ხუთივე შვილი თბილისში გამოგზავნა სასწავლებლად და ცდილობდა ქართველ ინტელიგენციასთან ახლოს ყოფილიყო მისი მონაგარი...

• • •

— ამ შვილებში ერთ-ერთი იყო ბოდღო (დავით) ემხვარი, რომლის ცოლ-შვილთან და შვილიშვილთან ამ ნუთას თქვენ იმყოფებით, — ამბობს ქალბატონი ლეილა. — მამაჩემს კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული, მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში... რუსულად თარგმნიდა ქართული პოეზიისა და პროზის ნიმუშებს. მაგალითად, თარგმნა ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია... განუყრელი მეგობრები იყვნენ ის და ბატონი კონსტანტინე... თვითონაც წერდა, აი, ნავან გოთუა... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... ლეო ქიაჩელმა ჩვენ ოჯახთან ნაცნობობით შექმნა „ჰაკი აძბა“... — ლეილა, აბა, იხ დიდი ფოტო — კოლიას ფოტო მომაწოდე?!

—ნახეთ, რა ვაჟკაცია!.. ეს გახლავთ ნიკოლოზ ემხვარი — ბოდღოს ძმა, რომლის ამბავიც აღწერილია „ჰაკი აძბაში“... ჰაკი აძბა რეალური პიროვნება იყო — კოლიას ძუძუმტე გახლდათ... ოდნავ „დახვეწა“ ეს ამბავი ლეო ქიაჩელმა და, როგორც იცით, ბრწყინვალე მოთხრობა გამოუვიდა... აი, ასე ვცხოვრობდით, შვილო, განუყოფელი იყო ჩვენი ურთიერთობა, და ახლა რა მოხდა აფხაზეთში ჩემთვის გაუგებარია... წეღან მთელი ოჯახი ვუსმენდით სეანსის რეპორტაჟს, და უნდა გითხრათ, რომ სრულიად სამართლიანი იყო ბატონ ჯუმბერის გამოსვლა...

საუბარში ოჯახის შვილიშვილი — დათო შარვაშიძე ერევა: — ნახეთ, თითქოს დღევანდელი დღისთვის იყო დაწერილი... ეს გაზეთი პაპაჩემის არქივიდანაა, ქუთაისში გამოდიოდა. „ჩვენი ქვეყანა“ ჰქვია, 1917 წლის 121-ე ნომერია... ნახეთ, ნახეთ, რას წერენ ოჩამჩირიდან...

ვათვალიერებ ნერილს, რომლის სათაურია „მოხედეთ აფხაზეთს!“, ქვესათაური — „წერილი ქართველ საზოგადო მოღვაწეებისადმი“. აი, ერთი ადგილი:

„აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია. დღევანდელი მომენტი აფხაზეთს დიდ საკითხს უყენებს წინ! ...იგი განახლების ბანაშია და, დღეს თუ ხვალ, დიდი ცვლილება უნდა შეიჭრას მის პატრიარქალურ, ნახევრად გამოლებულ, ცხოვრების კარებში.

ამიტომაც მეტი ყურადღება, მეტი სიყვარული, გულწრფელი რჩევა-დარიგება მოგვეთხოვება დღეს აფხაზეთის მეზობლებს, ტომთა ერთს სისხლსა და ხორცს... კიდევ მეტი შრომა, დაკვირვება და სასტიკი ბრძოლა — მის მეთაურებს, აფხაზეთის გამოფხიზლების დღევანდელ წინამძღოლებს!..

მაგრამ არიან კი დღეს აფხაზეთში ასეთი წინამძღოლები?! — უნებლიეთ იბადება საკითხი. საუბედუროთ, სულ არა, და თუ არიან, ძლიერ ნაკლებად.

იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, აფხაზეთის წინამძღოლად ვერ ჩავთვლი, რომლებიც ხშირათ მეტიჩარას როლს თამაშობენ, ყველგან საზოგადოებაში თუ „კრებებზე ესნრებიან, თავის რწმენის დოღმებს, სხვის ასჯერ ნათქვამს აზრებს თუთიყუშივით იმეორებენ !და მსმენელს არწმუნებენ: მთელი აფხაზეთი ჩვენის რწმენისა არის, ჩვენ გვითანაგრძნობსო. ვერც ამათ ჩავთვლი აფხაზების კეთილის მყოფლად, რომლებიც თვითონ უკვე გადაგვარებულან და სხვებსაც ურჩევენ საქართველოს ჩამოშორებას და უცხო ქვეყნის მიკედლებას. რადგან ესენი ეროვნულ წმინდა წყალში განგებ ისვრიან ტალახს, რომ წყალი აამღვრიონ და ეს მღვრიე წყალი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.

ამ მიზნით, ნამდაუწუმ ხალხში დაძრწიან და ეროვნულ შუღლს, მტრობას და სიძულვილს სთესენ“...

• • •

მართლაც, რაოდენი სიყვარული უნდა ჰქონოდა საქართველოსი მელიტონ ემხვარის შთამომავლობას, რომ ასე, სათუთად ეტარებინა უახლოესი ძმების ქართველების სიყვარული. ბოდღო ემხვარი თავისი რომანის — „შურისგების“ შესავალში წერს: **„არაერთი მცდარი ნაბიჯი გადაუდგამს რომანის გმირს აფხაზ ნაპარ ჩაბალრხვას, არაერთხელ წაბარბაცებულა იგი, მაგრამ ერთ რამეში სულ იყო უცვლელი და შემართული: ეს იყო სიყვარული აფხაზეთისა და საქართველოსი“...**

ჭეშმარიტად, ასე მოვდიოდით, ასეც უნდა ვიაროთ!

ვილენ მარდალეიშვილი.

გუნება შემოქმედია

გაზაფხულის სუნთქვა

ბიიწურა მარტი — გაზაფხულის პირველი თვე. თვალი გადავაგლოთ მის სუნთქვას პირველი რიცხვიდან დღემდე... აქა-იქ ჯერ კიდევ ჩამოყრის ფანტელებს, მაგრამ ყველასთვის ცხადია — ზამთარი დაძაბუნებულა, აუკრავს გუდა-ნაბადი და მთისკენ მიიპარება. იქ, მაღალ მთებში, ყინულის საიდუმლო სასახლეებია. იქ არის მისი მარადიული ნავსაყუდელი. ვაითუ, ჩამოვრჩეო, შეშინებულ ზამთარს სუსხიანი ქარაშოტიც ჩასდგომია კვალში. ჯერ კიდევ გუშინ, თებერვალში, ყინულის ქერქით ჰქონდა არმარე დატყვევებული, ახლა კი სინანულით ხსნის ალყას ხეებსა თუ ღობეებს, თივის ზვინებსა თუ ნარჩენ შუშას...

სოფლად მინდვრები ლილოჭრელოთი დალიანდაგდა. სულ რომ მტკაცლით ზომო, ვერ დაადგენ, თოვლის ზოლები ჭარბობს, თუ მინისა. ზებრას დამსგავსებული მინდორ-ველები დილისკენ ლურჯ ნისლში ეხვევა. ჯერ კიდევ სუსხია და, გეგონება, გაზაფხულის ფერიებს ღუმელები დაუნთიათო. ადრე გაზაფხულის ეს მსუბუქი მოსასხამი განსაკუთრებით მინდვრისა და ტყის თავშესაყარზეა თვალსაჩინო.

ზამთრის ქარ-სუსხით შებოჭილს, გაზაფხული თავის წიაღში გიხმობს. მაინც, საით გიწევს გული, გაზაფხულის პირველი მახარობლების თვალშესავლებად? რა თქმა უნდა, ტყეში. ბუნების გაღვიძების ყველაზე საინტერესო ნიშნებს სწორედ აქ შეხვდები, თუმცა, ზამთარიც უკანასკნელად ემშვიდობ ე ბ ა ტყეს. ველ-მინდვრებმა, როგორც იქნა, მოიშორეს თოვლის საბური და აქა-იქ პირველი ბალახიც ამოჩნდა, ტყეში — ხისა და ბუჩქის ძირას კი კვლავ თოვლი თოვლმს. აი, აქ ემალება ზამთარი გაზაფხულის მზის თბილ სხივებს.

მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ყველაფერი თეთრი მდუმარების ტყვეობაშია, ხოლო ქარისგან აყორილ ნამქერებს ყინვის ბროლივით ქერქი გადაკვრია, გაზაფხულის პოვნა მაინც ტყეში შეიძლება. თებერვალშიც გაგრძნობინებს ამას გაზაფხულის არაერთი მახარობელი: ბეღურების ციკვივი, ლაფაროში წყლის წვეთების ტყაპუნი, ჰაერში შეპარული სულ სხვა სურნელი...

—. გამარჯობა, თეთრყვავილავ, — ვესალმები ნაყური წყლით გაჟღენებულ მიწაზე კელაპტარივით ამოზრდილ ტყის პირველყვავილს. და, თითქოსდა, გამიგონაო კეთილი მისალმება, მცენარეც თავს მიქნევს ერთადერთი, თეთრი, თავჩაკიდებული ყვავილით.

— პირველი ყვავილიო? — მეკითხება თანამგზავრი. — განა, თეთრყვავილა გაზაფხ უ ლ ის ტყის პირველი ყვავილია?

— არა, რა თქმა უნდა, თეთრყვავილა გაზაფხულის პირველი მცენარე როდია, თუმცა, ზოგჯერ ისიც პირდაპირ ხვრეტს თოვლის საბურველს და ზევით ამოიჭრება. თეთრყვავილაზე ადრე ენძელები და ყოჩივარდები იჩქარიან სამზეოზე ამოჩენას.

— მაშ, რატომ უნოდებენ პირველყვავილს?

— საქმე ის არის, რომ „პირველყვავილი“ კრებსითი ცნებაა. აქ იგულისხმება ადრე გაზაფხულზე მოყვავილე ეფემერების მთელი ლაშქარი. ჩვენში მოზარდი ბოლქვოსნებიდან ასეთებია ენძელა, ცისთვალა, კაბაჭრელა, ცხენისკბილა, ყაზახა, ღვინა და სხვები; არაბოლქვოსნებიდან კი ია, ყოჩივარდა, ფურისულა, ხარისძირა, ტყის ფრინტა და ა. შ.

ტყეში ყველანი მანამდე ყვავიან, სანამ ხეები შეიფოთლებოდნენ და ამ უნაზეს ყვავილებს მზის სხივებს მოუჩრდილავდნენ.

ბოლქვოსანი პირველყვავილები უფრო მთებსა და მთისწინებში გავრცელებულ ტყეებში, აგრეთვე ალპურ მდელოებზე სხედან. ჩვენ ქვეყანაში კავკასიაში ყვავიან განსაკუთრებით მასობრივად.

მაგრამ... სწორედ მათი სინაზე და სინატიფეა სათავე მათივე ტრაგედიისა. რატომ? — ამ ბოლო დროს ბევრმა მიჰყო ხელი პირველყვავილებით. ჯიბის გასქელებას. ბღუჯა-ბღუჯად გლეჯენ და ქორვაჭრობენ. ბევრმა როდი უწყის, თუ როგორ შეთხელდა ეს მცენარე თბილისს შემოგარენში. ნიადაგსაც ეკარგება სინედლე. გაფიცხებული მინა კი ისე ვეღარ ასაზრდოებს ხეებსა და ბუჩქებს. შრება და იკარგება წყაროებიც. გაზაფხულის ტყის ყვავილთა უთავბოლო კრეფა ისევე არღვევს ბუნების წონასწორობას, როგორც ხეების კაფვა. ამდენად მათი მასობრივი ხელყოფაც ბრაკონიერობაა.

სად შეიძლება კიდევ გაზაფხულთან შეხვედრა? ტყე ჯერ კიდევ გრაფიკულ ნახატსა ჰგავს. თოვლის თეთრ ფონზე სილუეტებივით მოჩანან გაშიშვლებული ხეები და აი — უცნაური კონტრასტი! ბუნების მომავალ აღზევებას ყვითელი ყვავილების ფიიერვერკით ესალმება შინდი. ადრე გაზაფხულზე მოყვავილე ადგილობრივ მერქნიან მცენარეთა შორის შინდს მეტოქე არა ჰყავს. იგი ჯერ კიდევ ზამთარში იწყებს ყვავილობას. ამიტომაც არ გამოგვადგება გაზაფხულის დადგომის ჭეშმარიტ მაცნედ. ახლა მოდით, მურნარს მივადგეთ მდინარის პირას. გვიანი შემოდგომიდან ჩაშავებულ-ჩამომხმარი დგანან ეს ხეები მოკლე, მკვრივი, მუხლუხოებით. შავი გირჩები აძლევენ მათ ამგვარ მოღუშულ იერს, მაგრამ ახლა? მარტის პირველსავე ნათელ, მზიან დღეს მუხლუხოები ერთბაშად გრძელდებიან, მსხვილდებიან და რბილდებიან. ოდნავ შეეხები ტოტს და, მტვრიანების ოქროს ღრუბელი ავარდება ჰაერში. ესეც გაზაფხულია!..

გაზაფხულის მოსვლას ერთ-ერთი პირველი გაგრძნობინებს ტყის ტირიფიც — მდგნელს რომ ეძახიან. ბრდღვიალა-მოწითალო თუ მწვანე მუხლუხოებით იმოსებიან ვერხვებიც...

გაივლის კიდევ ცოტა დრო და, ადრემოყვავილე ხეები ფოთლებითაც მოიჩითებიან, სხვებს კი ყვავილობის ჟამი დაუდგებათ. დატრიალდება ტყეში უმსუბუქესი, მათრობელა სურნელი. შეუდარებელია ბუნების ეს სურნელება. და როცა ტყისპირები თუ ღელე-ნაკადულთ ჩაყოლებული ბუჩქნარები — ბულბულთა ეს საბუდებლები — შოთხვის ყვავილთა ნამქერში ჩაიძირება, ბაღ-ვენახები ატმისა და ნუშის ბაირალებად აფრიალდებიან და ტურფა გაზაფხულიც მკვიდრად დაბრძანდება თავის სადედოფლო ტახტზე.

არნოლდ ბეგეჯკორი.

უმთავრესი საზრუნავი—ბავშვთა ფიზიკური აღზრდა

ერთად ვიფიქროთ და გადავწვიტოთ

● ალბათ ხშირად გინახავთ ასეთი სურათი: მაღალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებს შორის მომწყვდეულ ციცქნა ეზოში ტოლი ბიჭები შეკრებილან, „ქუჩური“ საუბარი გაუჩაღებიათ და სიგარეტსაც აბოლებენ ჩუმ-ჩუმად. ამგვარი საეკვო „სერობა“ ხანდახან აუალმაყალითი და ცემა-ტყეპით თავრდება ხოლმე. „ამ ბავშვებს პატრონი არა ყავთ?“ თავისთვის იკითხავს შემოხვევითი გამვლელი და უსიამო გრძნობით გაეცლება იქაურობას. „ამ ბავშვებს სათამაშო მოედანი არა აქვთ“! — იტყვის დაფიქრებული კაცი და მართალიც იქნება. ბავშვებს ასპარეზი არა აქვთ, მუხლისა და მკლავის გასაშლელი, ბავშვური ყინინ დასაოკებელი ადგილი, ჩვენ კი ერთთავად იმას ვწუწუნებთ, ეს რა უცნაური თაობა გვეზრდებაო, მეცნიერები ამტკიცებენ: ფიზიკური კულტურა, სპორტი მოზარდის ჰარმონიული აღზრდის შეუცვლელი საშუალებაა. როცა ეს საშუალება უგულებელყოფილია, მის ადგილას, უმეტეს შემთხვევაში, სხვა „საშუალებები“ იკავებენ... სიგარეტი, აზარტული თამაშები, ნარკოტიკი.

ნორჩი თაობის ფიზიკური აღზრდა, ბავშვთა ფიზკულტურა და სპორტი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საჭიროროტო საკითხია, ამ სფეროში არსებულ პრობლემათა გადაჭრა კი ჩვენი უპირველესი და გადაუდებელი ამოცანა. ამ საქმეს, ცხადია, მარტო მოწოდებებით და ლოზუნგებით არ ეშველება. ვერც დროებითი ზომები და პროფილაქტიკური ღონისძიებები მოგვცემს სასურველ შედეგს. სასწავლო დაწესებულებებში, საცხოვრებელ ადგილებთან ნამდვილი „ფიზკულტურული კლიმატის“ შესაქმნელად საკმაო დროც გვიხდა და სოლიდური მატერიალური ხარჯების გაღებაც მოგვიწევს, მაგრამ ვიდრე სერიოზული კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგმება, უსაფუძვლოდ უნდა შეიცავლოს ჩვენი დამოკიდებულება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის მიმართ. წინაადმდეგ შემთხვევაში, სიტყვა და საქმე კვლავ დაშორდება ერთმანეთს. აქამდე უმეტესწილად ასე იყო: ხმამაღლა ვაღიარებდით სიბავშვო ფიზკულტურის განვითარების უდიდეს მნიშვნელობას და, იმავდროულად, ბევრს არაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ ჩვენი ბავშვები, მომავალი თაობა აქტიურად ჩაგვება ამ მოძრაობაში, შეგვექმნა საამისო პირობები. ზემოთ თქმულს თუნდაც ასეთი ფაქტი დასტურებს: რესპუბლიკის 2370 საბავშვო ბაღიდან სპორტული დარბაზი მხოლოდ 56-ს აქვს, საცურაო აუზი — შვიდს. ამას დაუმატეთ საბავშვო ბაღებში ფიზკულტურის მეთოდისტების ქრონიკული ნაკლებობა. გამოდის, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში თითქმის იგნორირებულია ფიზიკური აღზრდა, არადა, მოზარდის ჰარმონიულ განვითარებას სწორედ ამ დაწესებულებებში უნდა ჩაეყაროს საფუძველი. უკეთეს დღეში არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ისე გამოდის ცხოვრების ასპარეზზე, რომ მისთვის თითქმის უცხოა ელემენტარული ფიზკულტურული ჩვევები, აქტიური დასვენების მოთხოვნილება. ბავშვობაში დაკარგულს კი ძნელად თუ ინანზღაურებ. ამიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება სწორედ აქეთკენ უნდა მივმართოთ — მორალურადაც და მატერიალურადაც მხარში ამოვუდგეთ ბავშვთა ფიზკულტურას, საყმაწვილო სპორტს. ყველას შეუძლია წვლილის შეტანა, ოღონდ საამისო სურვილი, დაინტერესება იყოს. როცა საქმე ჩვენი შვილების ჯანმრთელობას ეხება, გულგრილობა და განზე დგომა არავის გვეპატიება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინათ პრინციპული შეფასება მისცა რესპუბლიკაში მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მდგომარეობას და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებები დასახა. მიღებულია გადაწყვეტილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ჭრონიკული ნაკლებობა. გამოდის, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში თითქმის იგნორირებულია ფიზიკური აღზრდა, არადა, მოზარდის ჰარმონიულ განვითარებას სწორედ ამ დაწესებულებებში უნდა ჩაეყაროს საფუძველი. უკეთეს დღეში არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ისე გამოდის ცხოვრების ასპარეზზე, რომ მისთვის თითქმის უცხოა ელემენტარული ფიზკულტურული ჩვევები, აქტიური დასვენების მოთხოვნილება. ბავშვობაში დაკარგულს კი ძნელად თუ ინანზღაურებ. ამიტომაც მთელი ჩვენი ყურადღება სწორედ აქეთკენ უნდა მივმართოთ — მორალურადაც და მატერიალურადაც მხარში ამოვუდგეთ ბავშვთა ფიზკულტურას, საყმაწვილო სპორტს. ყველას შეუძლია წვლილის შეტანა, ოღონდ საამისო სურვილი, დაინტერესება იყოს. როცა საქმე ჩვენი შვილების ჯანმრთელობას ეხება, გულგრილობა და განზე დგომა არავის გვეპატიება.



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინათ პრინციპული შეფასება მისცა რესპუბლიკაში მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მდგომარეობას და მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებები დასახა. მიღებულია გადაწყვეტილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავების თაობაზე. ამ პროგრამაში, ცხადია, უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედ ბავშვთა ფიზკულტურასა და სპორტს ეკუთვნის. თითოეულ დაინტერესებულ პირს თუ წარმოება-დაწესებულებას შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამის პროექტის შედგენაში, რომელიც საბოლოო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნდება.

ამას გარდა „კომუნისტის“ რედაქციის აუცილებლად მიაჩნია პირუთვნელი, საქმიანი საუბარის გაჩაღება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის მტკივნეულ საკითხებზე. შეგვეხმიანეთ, მოგვწერეთ, გაგვიზიარეთ თქვენი შენიშვნები, წინადადებანი, მოსაზრებები.

ნუ მოვაკლებთ სიხარულს

ორი წელიწადი სრულდება, რაც თბილისის 128-ე ბაგა-ბაღში ფიზკულტურის მასწავლებლად ვმუშაობ. ისე მივეჩვიე ბავშვებს, ისე შემაყვარეს თავი, რომ ამ საქმეს, ალბათ, ვერასოდეს შევეღალები. „ქეთინო მასწავლებელო, დღეს ფიზკულტურა გვექნება?“ — ამ კითხვით მეგებებიან პატარები და მზად არიან მთელი დღე სპორტულ დარბაზში გაატარონ. პირობები ურიგო არა გვაქვს, ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობა გულისყურით ეკიდება ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას და ამ საქმეს, შესაძლებლობის ფარგლებში, ყურადღებას არ აკლებს. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ, რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი, სწორედ აქ გამოინახა ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი.

ამ საკითხზე საგანგებოდ მინდა შევჩერდე. ჩვენ ხმამაღლა ვამბობთ: „ყველაფერი ბავშვებისათვის“; მაგრამ ამ სიტყვებს მიღმა, მეტწილად, ცარიელი ადგილია. ჩემთვის, მაგალითად, გაუგებარია, სკოლამდელ დაწესებულებათა საშტატო განრიგში რატომ არ არის გათვალისწინებული ფიზკულტურის მეთოდისტი? განა ბავშვებს სხვაზე ნაკლებად სჭირდებათ ამ დარგის სპეციალისტი?... 1984 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატმა გადაწყვიტა მოემზადებინა სკოლამდელ დაწესებულებათა ფიზკულტურის მეთოდისტები. ჩამოყალიბდა ექსპერიმენტული ჯგუფი, რომელშიც 15 გოგონა გაერთიანდით. შარშანწინ სრული კურსი დავამთავრეთ, დიპლომები მივიღეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკის არც ერთ ბაგა-ბაღში შესაბამისი შტატი არ იყო. გაგვანწილეს აღმზრდელებად. ჩემი რამდენიმე ჯგუფელი უმუშევარი დარჩა, ზოგიერთები აღმზრდელებად გაფორმდნენ ნახევარ განაკვეთზე, სპეციალობით კი მხოლოდ ოთხნი ვმუშაობთ. ცხადია, ინსტიტუტმა დროებით ხელი აიღო ექსპერიმენტზე, სპეციალურ ჯგუფში სწავლის მსურველებიც არ აღმოჩნდნენ. ვის უნდა ისეთი სპეციალობა, რომელიც თურმე... არავის სჭირდება!

დამერწმუნეთ, უთუოდ დიდი საქმე გაკეთდება, თუ ეს საკითხი დადებითად გადაიჭრება და ჩვენი ნორჩების ფიზიკური აღზრდის საქმეს სპეციალისტები ჩაიბარებენ. როგორც გავიგე, ახლა მზადდება ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. იქნებ ამჯერად მაინც გავითვალისწინოთ ადრინდელი შეცდომა და სკოლამდელ დაწესებულებაში შემოვიღოთ ფიზკულტურის მეთოდისტთა შტატი. ამას გარდა, აუცილებლად მიმაჩნია, სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინონ ბავშვების უზრუნველყოფა ხარისხიანი სპორტული ფორმა-ინვენტარით. უნდა გამოიძებნოს ისეთი სანარმოები, რომლებიც იკისრებენ ამ მეტად საჭირო საქმის მოგვარებას.

ბავშვებს, ჩვენს მომავალს, მეტი მზრუნველობა სჭირდება. ნუ მოვაკლებთ მათ ყურადღებას და სიხარულს.

ქეთევან ძვანია,
თბილისის 128-ე ბაგა-ბაღის ფიზკულტურის მეთოდისტი.

მსოფლიოს თასი ჭადრაკში

ორი რეალური პრეტენდენტი

მსოფლიოს თასი ჭადრაკში, რომელიც შარშანდლიდან თამაშდება, საჭადრაკო კალენდრის ერთ-ერთი მთავარი შეჯიბრება გახდა. შარშან გაიმართა ამ ექესეტაპიანი ასპარეზობის პირველი სამი ტურნირი (ბრიუსელში, ბელფორსა და რეიკიავიკში), წლეულს კი დანარჩენი სამი ტურნირი უნდა შედგეს: 1 აპრილიდან — ბარსელონაში, 1 ივნისიდან — როტერდამში და 1 აგვისტოდან — შელეფტეოში (შვეცია). შეჯიბრების წინასწარი გეგმით, თითოეული დიდოსტატი ოთხ ტურნირში მონაწილეობს. საბოლოო შედეგის გამოყვანისას დიდოსტატს ერთი შეღავათი ეძლევა: გათვალისწინებული არ იქნება ამ 4 ტურნირიდან ერთი, მისი ყველაზე უფერული გამოსვლა.

დღეისათვის მსოფლიო თასის 25 მონაწილეს შეჯიბრების სხვადასხვა რაოდენობა აქვს ჩატარებული — ზოგს სამი, უმეტესობას — ორი, ზოგს — ერთი. ეს ძალიან ანნელებს მათი სატურნირო მდგომარეობის შეფასებას. იმაზე კი არავინ დავობს, რომ თასის რეალური პრეტენდენტი მხოლოდ ორია — გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი.

დღემდე კასპაროვმა და კარპოვმა მსოფლიო თასის ორ-ორ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. კასპაროვი პირველი იყო როგორც ბელფორში (აქ მან კარპოვს გაასწრო, თუმცა მასთან ბრილ შეხვედრაში დამარცხდა), ისე — რეიკიავიკში (აქ კარპოვი არ თამაშობდა). კარპოვმა პირველი ადგილი დაიკავა ბრიუსელში, მეორე — ბელფორში. დღეისათვის კასპაროვი ორი ქულით უსწრებს თავის მუდმივ მეტოქეს.

ბარსელონაში კასპაროვი თამაშობს, კარპოვი კი არა. ასე რომ, მათი მეტოქეობა დაუსწრებლად გაგრძელდება. მსოფლიო ჩემპიონის თითოეული გამოსვლა ჭადრაკის გულშემატკივრებისათვის დიდი მოვლენაა. მით უმეტეს, რომ კასპაროვს წელს არცერთ შეჯიბრებაში არ მიუღია მონაწილეობა. იგი მარტის განმავლობაში ბაკოში ემზადებოდა, შეკრებაზე იყო ჩემპიონის ერთ-ერთი მწვრთნელიც, დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ახლა ვნახოთ ვისთან ექნება საქმე ბარსელონაში მსოფლიო ჩემპიონს. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ალექსანდრე ბელიავსკი, რომელიც ახლა ლიდერობს მსოფლიო თასის გათამაშებას. მართალია, ეს ლიდერობა მტკიცე არ არის, რადგან ლვოველმა დიდოსტატმა მსოფლიო თასის უკვე სამ ტურნირში ითამაშა და ახლანდელი გამოსვლა მეოთხე და უკანასკნელია. ეჭვგარეშეა, რომ საერთო ჯამში ბელიავსკის კასპაროვიც გადაასწრებს და კარპოვიც. ეს ასეა, მაგრამ ბელიავსკი შეეცდება ბარსელონაში რაც შეიძლება უფრო კარგად ითამაშოს და აღ რატომ: დებულების თანახმად თასის გათამაშებაში პირველ 6 ადგილზე გამოსულნი 1991 წლის გათამაშებაში მონაწილეობის პერსონალურ უფლებას იღებენ, ესე იგი შესარჩევი ასპარეზობებიდან თავისუფლდებიან.

ბარსელონაში ითამაშებს მსოფლიოს ორი ექსჩემპიონი — მხეილ ტალი და ბორის სპასკი, სპასკი ამ ბოლო ხანებში უფერულად თამაშობს, ტალი კი საკმაოდ არათანაბრად.

ბარსელონაში ითამაშებენ აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები არტურ იუსუპოვი და ჯონათან სპილმენი (ინგლისი). ისინი თამაშის სტილით ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან, თუმცა ყოველთვის თანაბრად, საინტერესოდ თამაშობენ. მათ გარდა ბარსელონაში გამოვლენ ვალერი სალოვი, რაფაელ ვაგანიანი, იუგოსლავები— ლიუბომირ ლიუბოიევიჩი და პრედრიგ ნიკოლიჩი, ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ხესუს ნოგეირასი (კუბა), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ) და ნაიჯელ შორტი (ინგლისი).

გივი გამრეკელი.

● **სროლა.** „კვიპროსის დიდი პრიზის“ ტრადიციულ გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა სპორტსმენებმა: მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო გია შენგელია, ადგილიდან სროლაში კი გიგა ქიშმარიშვილი (ორივე — „დინამო“). გარდა ამისა, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისელი სერგი ანდრეევი (ასკ).

● **ძიუდო.** სსრ კავშირის არმიელმა სპორტსმენებმა ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე გუნდური პირველობა მოიპოვეს. პირად ჩათვლაში საბჭოთა ძიუდოისტთაგან სამი დაეუფლა ოქროს მედალს. მათ შორის იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გურამ მოდებაძე. მან 71 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ყველას აჯობა.

● **ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ბოლო მატჩი ითამაშა სახელგანთქმულმა ფორვარდმა ზიკომ. ეს მოხდა იტალიის ქალაქ უდინში გამართულ ბრაზილიისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს, ბრაზილიელებმა ეს მატჩი წააგეს ანგარიშით 1:2. „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა მეკარე დასაევი, ბელგიელი გერეტსი, ურუგვაელი ფრანჩესკოლი, იუგოსლავიელი სტოიკოვიჩი, უნგრელი დეტარი, თურქი ჩოლაკი და სხვები. მაშასადამე, ზიკო გააცილეს და ახლა იგი „ფლამენგოს“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად იმუშავებს.

სატურნირო ორბიტა

მატჩი ითამაშა სახელგანთქმულმა ფორვარდმა ზიკომ. ეს მოხდა იტალიის ქალაქ უდინში გამართულ ბრაზილიისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები გუნდების შეხვედრის დროს, ბრაზილიელებმა ეს მატჩი წააგეს ანგარიშით 1:2. „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა მეკარე დასაევი, ბელგიელი გერეტსი, ურუგვაელი ფრანჩესკოლი, იუგოსლავიელი სტოიკოვიჩი, უნგრელი დეტარი, თურქი ჩოლაკი და სხვები. მაშასადამე, ზიკო გააცილეს და ახლა იგი „ფლამენგოს“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად იმუშავებს.